ვებ-გვერდზე www.rebank.ge განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე - www.rebank.ge - განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ, ხელშეკრულებას დაემატოს 5.6.2.6[1] და 12.1.17 პუნქტები შემდეგი შინაარსით:

„5.6.2.6[1] კლიენტი, განვადების ლიმიტისათვის განსაზღვრული ვადით და დადგენილი საკომისიოს გათვალისწინებით, უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ გაანაღდოს განვადების ლიმიტი ნებისმიერი ბანკომატის გამოყენებით, გადარიცხოს განვადების ლიმიტი ან/და განვადების ლიმიტით გადაიხადოს გადასახდელები. განვადების ლიმიტის განაღდებისას, გადარიცხვისას ან/და განვადების ლიმიტით გადასახდელების გადახდისას, იმის გათვალისწინებით თუ რა დროს მოხდა ლიმიტის განაღდება, გადარიცხვა ან/და განვადების ლიმიტით გადასახდელების გადახდა - კლიენტი სარგებლობს 15-დან 45 დღემდე უპროცენტო განვადებით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ შეზღუდოს/დაბლოკოს განვადების ლიმიტი სრული მოცულობით ან ნაწილობრივ (მათ შორის, შეზღუდოს/დაბლოკოს ლიმიტის ფარგლებში გასანაღდებელი/გადასარიცხი თანხის მოცულობა ან/და გადასახდელების გადახდის შესაძლებლობა სრულად ან ნაწილობრივ) ან გააუქმოს განვადების ლიმიტი ან/და განვადების ლიმიტის განაღდების/გადარიცხვის ან/და ლიმიტის გამოყენებით გადასახდელების გადახდის შესაძლებლობა. განვადების ლიმიტის ან/და მის ფარგლებში გასანაღდებელი/გადასარიცხი თანხის მოცულობის ან/და გადასახდელების გადახდის შესაძლებლობის შეზღუდვის/დაბლოკვის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება შეზღუდვის მოხსნის თაობაზე და განვადების ლიმიტი ან/და ლიმიტის ფარგლებში გასანაღდებელი/გადასარიცხი თანხა ან/და გადასახდელების გადახდის შესაძლებლობა განსაზღვროს თავდაპირველი მოცულობით. განვადების ლიმიტის ან/და განვადების ლიმიტის ფარგლებში გასანაღდებელი/გადასარიცხი თანხის მოცულობის ან/და გადასახდელების გადახდის შესაძლებლობის დაბლოკვის/შეზღუდვის/გაუქმების შესახებ ან ბანკის მიერ დაწესებული შეზღუდვის გაუქმების შესახებ, კლიენტს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

12.1.17 კლიენტი ვალდებულია, იხელმძღვანელოს გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული წესებითა და პირობებით. არანაკლებ თვეში ერთხელ გაეცნოს ინტერნეტბანკში განთავსებულ ინფორმაციას ვებ-გვერდის www.rebanking.ge მეშვეობით.“

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილება ძალაშია 2022 წლის 24 იანვრიდან.